

# შოთა რუსთველის ბრძენი სახება

**ჩვენი ანკეტა**

**ამ რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკურ გაზეთებში დაიბეჭდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ იერუსალიმში წარგზავნილი ექსპედიციის მონაწილეთა — პოეტ ირ. აბაშიძის, აკადემიკოსების ა. შანიძისა და გ. წერეთლის წერილი „შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში“, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა.**

**რედაქციამ თხოვნით მიმართა ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საკითხზე.**

**ქვემოთ ვაქვეყნებთ მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.**

ხად არის შოთას საფლავი,
წავიდეთ საძებნელადა!

# კორნელი კეკელიძე

## აკადემიკოსი

შესმენილია ამ ხალხური ლექსის მოწოდება: სამშობლომ საგანგებო კომისია გაგზავნა შოთას საფლავის საძებნელად. კომისია დაბრუნდა და თავის საქმიანობაზე მოგვითხრო კიდეც პრესაში და ზეპირად.

დიდი ხანია ცნობილი იყო, რომ პალესტინაში, ქართველთა ჯვარის მონასტერში, თითქო თავი შეუფარებია თავისი ცხოვრების მიწურულში შოთა რუსთველს. ამას დაყრდნობით უსვამდა ხაზს როგორც ზეპირი თქმულება, გადმოცემა, ისე მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც პირველმა გვამცნო, ჯვარის მონასტერში ერთ-ერთ სვეტზე რუსთველია გამოხატულიო. ტიმოთეს ეს ცნობა დადასტურდა შემდეგში: შოთას სურათი 1845 წელს აქ უნახავს და ჩაუხაზავს ნიკოლოზ ჩუბინაშვილს, რომელმაც მერე ერთ მხატვარს დაახატვინა კიდეც ეს ჩანახაზი პეტერბურგში. შემდეგ, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, პროფესორმა ა. ცაგარელმა ინახულა ჯვარის მონასტერში სვეტზე გამოსახული შოთას სურათი, რომლის წარწერა, ა. ცაგარლის მიერვე მოყვანილი, ადასტურებდა, რომ ეს მართლა შოთას სურათია. მიმდინარე საუკუნეში ამ სურათის კვალი უკვე გაქრა: ის სალებავების სქელი ფენის ქვეშ მოაქციეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც ძილს უფრთხობდა ქართველთა მოღვაწეობის კვალი პალესტინაში, კერძოდ, ჯვარის მონასტერში, და რომელნიც უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლებსაც კი დაეპატრონენ.

მიუხედავად ამისა, ჩვენს კომისიას, დიდი ვაივაგლახის შემდეგ, მოუხერხებია სვეტის სურათის გაწმენდა და სანუკვარი სურათის ზუსტი ფოტოგრაფიული პირის გადმოღება და ჩამოტანა.

ეს არის კომისიის მუშაობის მთავარი მიღწევა, — ასეთი პორტრეტი ჯერ ჩვენ არა გვქონია, — ამისათვის ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ როგორც ამ კომისიისა, ისე, უფრო მეტად, ჩვენი მთავრობისა, რომელმაც ხელი შეუწყო მის მუშაობას.

მაგრამ პორტრეტის გადმოღება და ჩამოტანა იმას კი არ ნიშნავს, რომ მიგნებულია, როგორც ზოგიერთებს ეჩვენება, თვით საფლავი დიდი პოეტისა. ამის შემდეგ ჩვენს წინ ისმება მთელი რიგი საკითხები:

1. როდის არის შესრულებული სვეტზე მოთავსებული სურათი პოეტისა: შესრულებულია ის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ინიციატივით, რომელმაც ჯვარის მონასტერი მოახატვინა 1643-4 წელს, თუ უფრო ადრე? ერთსა და მეორე შემთხვევაშიც — რა მონაცემების საფუძველზეა ის შესრულებული?

2. რა ურთიერთობაშია ეს სურათი პოეტის იმ სურათთან, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნიდან ზაზა ციციშვილისეული ხელნაწერიდან მომდინარეობს?

3. უნდა ზუსტად დადგინდეს ტექსტი იმ წარწერისა, რომელიც პოეტის სურათს ახლავს სვეტზე: მართლა „შოთას“ უნდა იყოს იქ, როგორც კომისიას უფიქრია (ასო ს კავებში ჩაუსვამს მას), თუ „შოთა“? ეს ერთი და იგივე არ არის საქმის ნამდვილი ვითარებისათვის.

4. რატომ არის პოეტი მლოცველის პოზაში დაჩოქილი მაინცდამაინც მაქსიმე აღმსარებლის (VII ს.) და იოანე დამასკელის (VIII ს.) წინაშე (ეს დეტალი ჩამოტანილ პორტრეტზე სამწუხაროდ რატომღაც არ ჩანს), რა შეგნებით შეეძლო სურათის ავტორს დაეკავშირებინა ის აღნიშნულ პირებთან?

5. ცნობა რუსთველის ჯვარის მონასტერთან კავშირის შესახებ ფოლკლორული წარმოშობისაა თუ შეიძლება მას ისტორიულ-ლიტერატურული საფუძველი მოეძებნოს?

აი მთავარი საკითხები, რომლებსაც უყენებს რუსთველოლოგიას კომისიის მიერ მოპოვებული და ჩამოტანილი პორტრეტი შოთა რუსთველისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარი საკითხების რკვევას სჭირდება დრო და სანდო, შემოწმებული მასალა, რაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, თანდათან აღმოჩნდება.